ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

არაქართულენოვანი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვის მექანიზმები

დამტკიცებულია:

სენატის სხდომის ოქმი N6.

თარიღი: 05.09.2025 წ.

დადგენილება N70.

პრეამბულა

გლობალური საგანმანათლებლო სივრცის სწრაფი ტრანსფორმაციის პირობებში, საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა წარმოადგენს თანამედროვე უნივერსიტეტების ერთ - ერთ უმთავრეს პრიორიტეტს. უცხოელი სტუდენტი უნივერსიტეტისთვის მხოლოდ სტატისტიკური მაჩვენებელი არ არის - იგი ქმნის მრავალფეროვან, ინტელექტუალურად გამდიდრებულ გარემოს, რომელიც ზრდის აკადემიური პროცესის ხარისხს, აძლიერებს კვლევის საერთაშორისო პერსპექტივას და უზრუნველყოფს დაწესებულების გლობალური კონკურენტუნარიანობის ზრდას.

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ პასუხისმგებლობით აღიარებს თავის როლს საერთაშორისო განათლების სისტემაში. უნივერსიტეტი ხედავს, რომ უცხოელი სტუდენტების მოზიდვა არა მხოლოდ უნივერსიტეტის განვითარების ერთ - ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, არამედ ქვეყნის საგანმანათლებლო და კულტურული კავშირების გამყარების მთავარი საშუალება.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სისტემურ ხედვასა და მექანიზმების ერთობლიობას, რომლის პრაქტიკაში განხორციელება საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს შექმნას საერთაშორისო დონეზე მიმზიდველი საგანმანათლებლო სივრცე, დაიმკვიდროს ადგილი გლობალურ აკადემიურ რუკაზე და უზრუნველყოს უცხოელი სტუდენტების მდგრადი ზრდა.

უნივერსიტეტი ქმნის ინტეგრირებულ, მრავალდონიან სტრატეგიას, რომელიც ეფუძნება:

უნივერსიტეტის ბრენდის გლობალური პოზიციონირება;

საერთაშორისო პარტნიორობების გაფართოება/გაძლიერება;

აკადემიური პროგრამების ინტერნაციონალიზაცია;

სტუდენტზე ორიენტირებული მომსახურების შექმნა.

„ნეუ - ეროვნულ საგანმანათლებლო უნივერსიტეტიში“ უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმებია:

- „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ საერთაშორისო ბრენდინგი;
- ინტერდისციპლინური, უსაფრთხო, ევროპული უნივერსიტეტის იმიჯი;

- სოც. მედია კამპანიები მთელი მსოფლიოს მასშტაბით;
- სოც. მედია კამპანიები ციფრული პლატფორმების მეშვეობით TikTok, Instagram, Facebook, YouTube და სხვა;
- პარტნიორი უნივერსიტეტების ქსელის ზრდა;
- საერთაშორისო ხელშეკრულებები უნივერსიტეტებთან;
- Erasmus+ KA171 პარტნიორობების გაფართოება;
- ოფიციალური აგენტების ქსელის ჩამოყალიბება;
- ერთობლივი ღონისძიებები და სამეცნიერო აქტივობები;
- სპეციალური სასწავლო პაკეტები უცხოელებისთვის;
- ორმხრივი მობილობები;
- სწავლის გადასახადის მოქნილი მოდელი;
- ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ერთ - ფანჯრიანი „ოფისი“ - ვიზების დახმარება, საბუთების მართვა;
- სტრატეგია - “Study in Georgia”;
- ონლაინ ღია კარის დღეები (Open Day);
- საერთაშორისო სტუდენტური ამბასადორი - უკეთესი მომსახურეობისათვის;
- „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ ორ ენოვანი ვებ - გვერდი.

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის მექანიზმებს ქმნის როგორც ერთიან, ინტეგრირებულ სისტემას. უნივერსიტეტი ამ პროცესს მართავს შემდეგი ინსტიტუციური მიდგომებით:

- სამუშაო ჯგუფის შექმნა - პასუხისმგებელი პირები და ვადები;
- წლიური სამოქმედო გეგმა;
- პრიორიტეტული ქვეყნები;
- სამიზნე აუდიტორია;
- შედეგების მონიტორინგი.

დასკვნა

უცხოელი სტუდენტების მოზიდვა უნივერსიტეტისათვის ერთ - ერთი სტრატეგიული მიმართულება არ არის. ეს არის უნივერსიტეტის განვითარების არსებითი ნაწილი, რომელიც აძლიერებს მის აკადემიურ, კვლევით და სოციალურ პოზიციას საერთაშორისო ასპარეზზე. წარმოდგენილი მექანიზმები ქმნის ინტეგრირებულ სისტემას, რომლის მიზანია უნივერსიტეტის კარის გახსნა გლობალური სივრცისკენ, მრავალფეროვანი სტუდენტური გარემოს ჩამოყალიბებისაკენ და უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ზრდისაკენ.

„ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი“ აცნობიერებს, რომ წარმატებული ინტერნაციონალიზაცია საჭიროებს თანმდევ და სისტემურ ქმედით ნაბიჯებს. სწორედ ამიტომ, უნივერსიტეტი ადგენს წლიურ სამოქმედო გეგმას, ქმნის სპეციალურ სამუშაო ჯგუფებს, ავითარებს საერთაშორისო პარტნიორობებს, აძლიერებს მარკეტინგულ და ბრენდინგ კომუნიკაციებს და უზრუნველყოფს უცხოელი სტუდენტებისთვის უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სივრცეს.

პრაქტიკაში განხორციელებული ნაბიჯები ქმნის საფუძველს NEU - ს გარდაქმნისთვის ისეთ უნივერსიტეტად, რომელიც არა მხოლოდ აკმაყოფილებს თანამედროვე მაღალი განათლების მოთხოვნებს, არამედ ქმნის ახალ შესაძლებლობებს საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში.

ამ სტრატეგიის წარმატებით განხორციელება უზრუნველყოფს, რომ NEU დარჩეს ღია, განვითარებაზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი და საერთაშორისო სტანდარტებთან სრულად შესაბამისი უნივერსიტეტი, რომელიც იზიდავს და ინარჩუნებს უცხოელ სტუდენტებს, როგორც გრძელვადიან, მდგრადი ზრდის მთავარ რესურსს.